ლევან ასათიანი,

საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, სსრკ საპატიო ენერგეტიკოსი;

თეიმურაზ ბრელიძე,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი

ისევ ნამოხვანჰესის შესახებ...

ანუ როგორ ავარიდოთ თავი უმწიფარ პროექტებს

„...ეკოლოგია. დღეს ეს თემა ყრუდ გაისმა, მაგრამ ზუსტად ისევე მწვავედ ჟღერს, როგორც ყველა დასახელებული პრობლემა. ვთქვათ, რა ვუყოთ ჰიდროსადგურებს? საქმე ის კი არ არის, თითქოს ჰიდროტექნიკა არასწორი მიმართულება იყოს. სრულიადაც არა. საჭიროა, რომ ჰიდროტექნიკა ჰარმონიულად ერწყმოდეს ბუნების დაცვას. აქ უწყებრივი ინტერესებიც შეეჯახა ერთმანეთს. აიაფებდნენ რა პროექტს, უწყებები ზარალს აყენებდნენ ბუნებასაც. აი, რა უნდა მოვიშოროთ თავიდან! და მერე უნდა ვნახოთ: გვჭირდება თუ არა ისეთი უზარმაზარი კომპლექსები, როგორიც არის კრასნოიარსკის ჰიდროელექტროსადგური ანდა საიანშუშენსკოე? ეს უნდა იყოს მოსახერხებელი ჰიდროელექტორსადგურები, რომლებიც მოახდენენ მდინარის ბუნებრივ დინების უტილიზაციას და არაფერს არ შეცვლიან. ეს უაღრესად ყურადღებით უნდა შევისწავლოთ: გიგანტომანიას, ავსებას და გადავსებას მოჰყვა ის, რომ წარმოიშობა აი ასეთი საკითხები".

> მიხეილ გორბაჩოვი, „მეცნიერების მთავარი დანიშნულება ემსახურებოდეს ადამიანებს", „კომუნისტი", 15 სექტემბერი, 1988 წ.

„...დიახ, საერთოდ ჰიდროსადგურების კონცეფცია ასე იყო შემუშავებული — დატბორვის გზით. 10-12 მილიონი ჰექტარი საუკეთესო მიწა ჩაიძირა წყალში! ეს კი მეცხოველეობის ბაზაა. ახლა კი ვეწევით მელიორაციას, რომ ასეთივე მიწები მივიღოთ და საკვები მოვიყვანოთ".

> მიხეილ გორბაჩოვი, „დემოკრატიზაცია გარდაქმნის არსი, სოციალიზმის არსია", „კომუნისტი", 14 იანვარი, 1988 წ.

საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის დახასიათებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჰიდრორესურსებს, მით უმეტეს, რომ ამ თვალსაზრისით ჩვენს რესპუბლიკას საბჭოთა კავშირში მეოთხე ადგილი უკავია, ერთ სულ მოსახლეზე გათვლით კი ყველა რესპუბლიკას უსწრებს. ამაზე ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ და ვწერთ, მაგრამ როდესაც ამ რესურსების გამოყენებაზე მიდგება საქმე, ხშირად გვავიწყდება მათი სპეციფიკური თვისებები, რაც ზოგ შემთხვევაში ართულებს ამ ღვთით ნაბოძები სიმდიდრის გამოყენებას და მოითხოვს გაცილებით მეტ დაფიქრებას, ვიდრე ზოგიერთს ჰგონია. იოლი გზების ძებნას ხშირად ცუდი შედეგები მოაქვს როგორც ამ რესურსებისათვის, ისე ბუნებისათვის.

საქართველოს ჰიდრორესურსების დასახასიათებლად ჩამოვთვალოთ მათი ძირითადი თვისებები:

1. მდინარეების განაწილება რესპუბლიკაში არათანაბარია: ძირითადად ისინი დასავლეთ საქართველოშია თავმოყრილი. თითქმის ყველა მათგანი სათავეს მთაში იღებს. ჩამონადენი წყლის დონე ცვალებადია წლის სხვადასხვა დროის მიხედვით (მაქსიმალურია გაზაფხულ-ზაფხულში და მინიმალურია შემოდგომა-ზამთარში). დასავლეთ საქართველოს ყველა მდინარე შავ ზღვაში ჩაედინება. მრავალწლიანი დაკვირვების შედეგად დადგენილია, რომ საქართველოს პოტენციური ჰიდრორესურსები წყალდინების ნახევარს შეადგენს;

2. საქართველოს ფარგლებში შავი ზღვის ნაპირი განიცდის მუდმივ „გარეცხვას". ამ მოვლენის თავიდან აცილება (ნაპირის სპეციფიკური კონფიგურაციის გამო) ხელოვნური ნაგებობების საშუალებით შეუძლებელია. სანაპიროს შენარჩუნება შეიძლება მხოლოდ მდინარეებით ჩამოტანილი სილა-ხრეშის საფუძველზე. თუ ეს ბუნებრივი ბალანსი დაირღვა, უფრო სწორად, დავარღვიეთ, ნაპირს წყალი წაიღებს.

თბილისში არაერთი საკავშირო თათბირი გამართულა შავი ზღვის სანაპიროს დაცვისა და შენარჩუნების თაობაზე. 1977 წელს საქართველოს მინისტრთა საბჭოს სპეციალურმა კომისიამ განიხილა მასალები საქართველოს ფარგლებში ნაპირდაცვის შესახებ. განხილულ იქნა ამიერკავკასიის ჰიდროტექნიკისა და ენერგეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ შედგენილი მასალებიც, სადაც ნავარაუდევი იყო, თუ რა შედეგს მოუტანდა ფოთს მდინარე რიონის მაღლივი კაშხალით გადაღობვა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქზღვისნაპირდაცვის" გაანგარიშებით, 2000 წლამდე საქართველოს შავი ზღვის წარეცხილი ნაპირის აღდგენა მოითხოვს კაპიტალურ დაბანდებებს 250 მილიონი მანეთის რაოდენობით. ამასთან, აღნიშნული მონაცემები არ ითვალისწინებს ნამოხვანჰესის მშენებლობით გამოწვეული მოსალოდნელი უარყოფითი ეკოლოგიური შედეგების ლიკვიდაციისათვის საჭირო სახსრებს. მთავრობაში წარმოდგენილი დასკვნით, ამ კაშხალის აგების შემთხვევაში, ფოთის რაიონში ზღვის ნაპირის დასაცავად საჭირო იქნება ყოველწლიურად შევიტანოთ 600 ათასი კუბმეტრი სილა-ხრეში (რაც შეადგენს 8,2 მილიონ მანეთს), რაც უნდა გაგრძელდეს წყალსაცავის მოსილვამდე — დაახლოებით 40-50 წლის განმავლობაში, ე. ი. იქამდე, ვიდრე კაშხალი აღარ შეაჩერებს ნალექებს. ჩვენთვის არაა ცნობილი, რომ სადმე მიმართავდნენ ასეთ გაუმართლებელ ღონისძიებას...

3. საქართველოში ცუდია გეოლოგიური პირობები — ხშირია მეწყერიანობა; ბუნებრივი პირობების დარღვევა იწვევს მდინარეების ნაპირების გარეცხვას; მეწყერიანობას ადიდებს წყალსაცავების შესაქმნელად აუცილებელი შეტბორვაც. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საშიშია წყალსაცავების შექმნა ჰიდროელსადგურებისათვის, სადაც სამუშაო რეჟიმის მიხედვით წყლის დონე ცვალებადია.

ანგარიშგასაწევია ისიც, რომ სავარგულებისა და უნიკალური ტყეების დატბორვა მეტად საზარალოა ისეთი მცირემიწიანი რესპუბლიკისათვის, როგორიც საქართველოა;

4. ჰიდრორესურსების გამოყენებას უშუალოდ არ ეხება, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანია (განსაკუთრებით კი მთის სოფლის მოსახლეობისათვის) დემოგრაფიული საკითხი. მოსახლეობას დიდად უმძიმს თავისი მშობლიური კუთხის დატოვება. ხალხის აყრა-გადასახლება ყოველთვის იყო და არის მტკივნეული საკითხი.

როგორც ვიცით, ჩვენი მთავრობა არაფერს იშურებს სოფლებიდან მიგრაციის შესამცირებლად. ცდილობს დააბრუნოს ძველ, ტრადიციულ სამოსახლოებზე სხვადასხვა მიზეზით სხვადასხვა დროს წასული მოსახლეობა, აღადგინოს ძველი სოფლები. ჩვენ არა გვაქვს არც იურიდიული და არც მორალური უფლება, ამა თუ იმ მშენებლობის საკითხების გადაწყვეტისას მხოლოდ ტექნიკური მხარე გავითვალისწინოთ და ანგარიში არ გავუწიოთ საერთოდ, ადამიანურ თუ ეკოლოგიურ ასპექტს.

სამწუხაროდ, პროექტში, რომლის განსახორციელებლადაც უკვე შეუდგნენ მოსამზადებელ სამუშაოებს, თითქმის ყველა ჩამოთვლილი საკითხი დაუზუსტებელი დარჩა.

მდინარე რიონზე, ქუთაისიდან ონის მიმართულებით 30-ე კილომეტრზე, სოფელ ნამოხვანთან განზრახულია აიგოს ჰიდროელსადგურები. ნამოხვანჰესის აგების იდეა დიდიხანია არსებობდა და განსაკუთრებულ წინააღმდეგობას არ იწვევდა, ვიდრე საპროექტო ორგანიზაციამ — ჰიდროპროექტის თბილისის განყოფილებამ —

არ წარმოადგინა ვარიანტი, რომლის მიხედვითაც ელსადგურისათვის უნდა აეგოთ მაღლივი კაშხალი და მოეწყოთ უზარმაზარი წყალსაცავი. ამ ვარიანტით დატბორვის ზონაში ხვდებოდა რამდენიმე სოფელი თუ სოფლის ნაწილი და ამ რეგიონისათვის სასიცოცხლო სავარგულები. ამასთან, წყალსა[illegible]ა ერთ-ერთი ნაპირი აშკარად მეწყერიანობის ზონაში ექცეო[illegible] ჩვენი ენერგეტიკოსების ერთმა ჯგუფმა დაუშვებლად ჩათვალა ასეთი მშენებლობა და შემდგომ ორგანოებსაც მოახსენა თავისი მოსაზრებანი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ენერგეტიკის პერსპექტიული განვითარების მუდმივმა კომისიამ 1981 წლის 10 თებერვლის სხდომაზე აღნიშნა, რომ ჰიდროელსადგურის ტექნიკურ მონაცემებში არ არის საკმარისად დამუშავებული წყალსაცავის გეოლოგია, სეისმიკისა და ეკოლოგიის რიგი საკითხები, აგრეთვე, ისეთი პრობლემა, როგორიცაა მდინარისა და ზღვის ნაპირების გარეცხვა და სხვ. კომისიამ დაავალა საქართველოს სახმშენს, გაეწია საერთო ხელმძღვანელობა საპროექტო ორგანიზაციისათვის, ხოლო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას — განეხილა ნამოხვანჰესის დაპროექტება-მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხები და მოეხსენებინა მუდმივმოქმედი კომისიისათვის, რომელიც საბოლოოდ გადაწყვეტდა მის მიზანშეწონილობას.

მიუხედავად გაფრთხილებისა, დაემუშავებინათ და დაეზუსტებინათ პროექტირებისათვის საჭირო ძიებისა და სხვა მასალები, საპროექტო ორგანიზაცია განაგრძობდა ტექნიკური პროექტის შედგენას და თავს არ იწუხებდა პროექტირებისათვის საჭირო მასალების დაზუსტებით. მხოლოდ საკავშირო ორგანოების ჩარევის შემდეგ შეუდგა იგი მომავალი წყალსაცავის გეოლოგიური პირობების გადამოწმებას. ერთი მეოთხედი ნაწილის შემოწმებამ დაადასტურა აზრი, რომ პროექტში გამოყენებული გეოლოგიური მონაცემები არ იყო სწორი. ამას თითქოს უნდა გაემძაფრებინა სურვილი, გაესინჯათ წყალსაცავის დარჩენილი სამი მეოთხედიც. მაგრამ საპროექტო ორგანიზაციამ არჩია კაშხალის დადაბლება 50 მეტრით, რათა აცდენოდნენ უვარგის უბნებს და ფორსირებულად დაეწყოთ, ასე ვთქვათ, მესამე საფეხურის ტვიშჰესის დაპროექტება. თუ წინათ მიღებული ჰქონდათ ნამოხვანჰესის ორსაფეხურიანი კასკადი, ახლა გადააქციეს სამსაფეხურიანად, რათა არ დაეკარგათ ტექნიკური პროექტით გათვალისწინებული სიმძლავრე და ელექტროენერგიის გამომუშავება და, რაც მთავარია, შეემცირებინათ კილოვატსაათის თვითღირებულება. საბოლოოდ სახელებიც კი შეურჩიეს; ქუთაისიდან პირველი — ჟონეთჰესი, შემდეგ — ნამოხვანჰესი დიდი წყალსაცავით, და ბოლოს, წყალსაცავის ზემოთ — ტვიშჰესი. რა თქმა უნდა, სახელების დარქმევა არაფერს აზუსტებდა. არ შესრულდა დაპირება კომისიისა, რომელიც 1981 წელს იყო შედგენილი საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით (კომისიას ხელმძღვანელობდა „გლავგიდროპროექტის" მთავარი ინჟინერი; მონაწილეობდნენ: საკავშირო მთავარი სამმართველოს — „სოიუზგიდროსტროის", საკავშირო საგეგმო კომიტეტის, თბილჰიდროპროექტის, საქმთავარენერგოს და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლები). მათ წინაშე დასმული იყო ყველა ჩვენს მიერ აღნიშნული საკითხი და მოცემული იყო დაპირება, რომ ეს ყველაფერი დაზუსტებული იქნებოდა ტექნიკური პროექტის დამტკიცებამდე. აღსანიშნავია, რომ ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის საკავშირო სამინისტრო (რომელიც აფინანსებს ელსადგურების მშენებლობას) იმთავითვე არ აპირებდა თავის თავზე აეღო ბუნების დაცვის ხარჯები, რაც აშკარად ჩანდა ამ სამინისტროს პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების ექსპერტიზის სამმართველოს 1985 წლის 18 მარტის წერილიდან: „გადაწყვეტილება ნამოხვანჰესის ჰიდროელსადგურის აგების თაობაზე, ასევე მოცულობა ბუნებისა და გარემოს დაცვისა, მთლიანად საქართველოს მინისტრთა საბჭოს კომპეტენციაში შედის". ასე რომ, თუ რამე გაფუჭდებოდა მშენებლობისა თუ ექსპლოატაციის დროს, ხარჯები რესპუბლიკას უნდა ეკისრა.

არ შეიძლება ორიოდ სიტყვა არ ითქვას ამ საკითხებისადმი საქართველოს ზოგიერთი ორგანოსა და ორგანიზაციის ლიბერალური მიდგომის შესახებ, რაც პირველ რიგში გამოიხატება დაუზუსტებელი პროექტის მიღებასა და მინისტრთა საბჭოსთვის მის წარდგენაში. გვახსენდება შემთხვევა, რომელსაც ადგილი ჰქონდა წარსულში, როდესაც იმავე საპროექტო ორგანიზაციამ საკავშირო სამინისტროს დავალებით დაამუშავა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში შესათანხმებლად წარმოადგინა მდინარე თერგზე დარიალჰესის პროექტის ტექნიკური მონაცემები. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ არა თუ უარყო წარდგენილი მასალა, რომელიც დარიალის უნიკალური ხეობის ამოხერგვას ითვალისწინებდა, არამედ ისიც აღნიშნა, რომ დაუშვებელია ასეთი მოუფიქრებელი პროექტის დასახვაც კი.

რატომ მოხდა, რომ ისტორიული დასახლებისა და პორტის — ანაკლიას წარეცხვა მხოლოდ ენგურჰესის პირველი აგრეგატების გაშვების შემდეგ გაგვახსენდა? მგონი, დღესაც არ არის საბოლოოდ დამუშავებული რადიკალური ღონისძიებანი, თუმცა სადგურის მშენებლობა მესამე ათწლეულს ათავებს. რატომ ხდება ჩვენში ასეთი ამბები, რატომ ცდილობს ზოგიერთი სპეციალისტი, როგორმე, რაიმე ხერხით (მეპატიოს უხეში გამოთქმა) „გაათრიოს" თავისი აზრი თუ პროექტი... ის კი, რაც აღარ გასწორდება, შეიძლება სტიქიასაც გადააბრალოს...

თავიდანვე ვიცოდით, რომ ნამოხვანჰესისათვის დაგეგმილი წყალსაცავის მარცხენა ნაპირი მეწყერიანია; ამისათვის არ იყო საჭირო ძებნა და ბურღვა — არქივებში უნდოდა წესიერად მოძებნა დოკუმენტაციას. წყალსაცავის მარცხენა ნაპირზე ჯერ კიდევ რევოლუციამდე მიმდინარეობდა ბარიტისა და კალციტის ძიება და მოპოვება. ნაწილობრივ გასინჯვამაც აშკარა გახადა მარცხენა ნაპირის სისუსტე; ბოლოს 1987 წლის წყალდიდობამ დაადასტურა ეს საშიშროება. ორხვი-ტვიშის უბანზე ჩამოსულმა მეწყერმა მთლიანად გადაღობა რიონი; დაგუბებულმა წყალმა საშიშროება შეუქმნა მთელ რიგ სოფლებს, გუმათჰესს და თვით ქალაქ ქუთაისსაც. იგივე მარცხენა ნაპირის დამეწყვრამ გამოიწვია სოფელ დერჩში მდინარის სიახლოვეს მცხოვრები მოსახლეობის გადასახლება.

სრულიად ბუნდოვანია საპროექტო გადაწყვეტილებანი წყალსაცავის მარცხენა ნაპირზე დარჩენილი სოფლების გზით უზრუნველყოფის შესახებ. ამჟამად სოფლები ლეხიდრისთავი, საჩხეური, ჰაშლეთი, დღნორისა, დერჩი, ზემო და ქვემო ონჭეიში სარგებლობდნენ ქუთაისი — ალპანა — მამისონის უღელტეხილის საავტომობილო გზით. აქ აშენებულია რკინის ხიდი მდინარე რიონზე და სოფლებს სისტემატურ მომსახურებას უწევს სახელმწიფო ავტოტრანსპორტი. პროექტით ზემოთ აღნიშნული სოფლების მცხოვრებლები მაგისტრალურ გზაზე რომ მოხვდნენ, დამატებით უნდა გაიარონ 10-12 კილომეტრი, გავიდნენ ცაგერის რაიონში, იქ გადარჩენილ ორხევის ხიდით გადავიდნენ მაგისტრალურ გზაზე და დაბრუნდნენ წყალტუბოს საქალაქო ზონაში.

ასევე ძნელად მისადგომი ხდება ბაჯიორის კალციტის მოქმედი მაღაროებიც.

ვინც იცის, რამდენი შრომა და ზრუნვა დასჭირდათ ზემოთ ჩამოთვლილი სოფლების მაცხოვრებლებს, რომ მიეღოთ ხიდი და უმოკლესი გზა მაგისტრალზე გასასვლელად. პროექტით მიღებულ გადაწყვეტილებას ხალხი აბუჩად აგდებად ჩათვლის უთუოდ.

ვნახოთ კიდევ ერთი მაგალითი იმისა, თუ როგორ „ზრუნავენ" დამპროექტებლები სოფლის ბედ-იღბალზე: სოფელი ზემო ონჭეიში მართალია, პატარაა, აქ სულ ასამდე მოსახლეა და შეტბორვა მათ ვერ აღწევს, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ სოფელი წყალსაცავის მარცხენა ნაპირზე რჩება, მისი სავარგულების მეტი ნაწილი კი მარჯვენა ნაპირზე. რა გააკეთოს ზემო ონჭეიშის ასიოდე მაცხოვრებელმა? მათ არსად ასახლებენ, მაგრამ საარსებო საშუალებებს ართმევენ! განა ეს არ არის ადამიანთა გაწირვა და მათი აბუჩად აგდება? მიკრორეგიონში ისედაც მრავლად არის წყალ-

საცავები — გუმათჰესის, შაორის და ლაჯანურჰესის — რაც თავისებურ სამკუთხედს ქმნის; მის ცენტრში ახალი — ნამოხვანჰესის წყალსაცავის აგება, რომელიც დატბორავს 2 ათას ჰექტარ ნაყოფიერ მიწებს (ისინი დაფარულია უნიკალური მრავალწლიანი ნარგავებით და ძვირფასი ტყეებით), აუცილებლად იქონიებს უარყოფით გავლენას რეგიონის მიკროკლიმატზე. ამის დამადასტურებელი მაგალითები, სამწუხაროდ, უკვე გვაქვს.

საბედნიეროდ, მდინარე რიონში კიდევ არის სვია, თართი, ტარალანა და ევროპაში დარჩენილი ერთადერთი სახეობა — ატლანტური ზუთხი. ამ თევზის ხელოვნურად გასამრავლებელი არავითარი ღონისძიება შედეგს არ გამოიღებს, თუ მას არ შევუქმნით ბუნებრივი გამრავლების საშუალებას, ხოლო თევზსავალების მშენებლობის გამოცდილება ჩვენში არადამაკმაყოფილებელია. იმ მიზნით, რომ შევინარჩუნებინათ ქვირითის დაყრის ადგილები, მდინარე [illegible] ქვედა დინებაზე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე უარი თქვეს, ჩვენ კი ამდენი მიზეზი გვაქვს უარის სათქმელად და მაინც...

რესპუბლიკაში პროექტი წესიერად რომ განეხილათ, ისევ ცენტრალური ორგანოების ჩარევა გახდა საჭირო. მაგრამ განა შეიძლება საჯარო განხილვას წაუმძღვარო შესავალი — „პროექტი რომელიც დღეს განსახილველად გამოგვაქვს, შეთანხმებულია ყველა საჭირო დაწესებულებასთან და დამტკიცებულია სათანადო ორგანოების მიერ“?! სრულიად სამართლიანი იყო ერთ-ერთი მონაწილის შეკითხვა: „თუ ყველასთან შეთანხმებულია და ყველასაგან დამტკიცებულია, ჩვენ რაღაზე შეგვყარეთო?“ ასეთი „განხილვა“ უსათუოდ გადაიქცევა ფალსიფიკაციად.

ან კი რაღა საჯარო განხილვაზეა ლაპარაკი, როცა არავის უფიქრია, პროექტი რაიონის მოსახლეობისათვის მაინც გაეცნოთ წინდაწინ?! ბოლოს და ბოლოს ყველა რაიონს აქვს გაზეთი, რომელშიაც შეიძლებოდა მოკლედ აღწერა, თუ რა და რატომ არის დადგენილი. მოსახლეობას პირველ რიგში აინტერესებს, რატომ შენდება ობიექტი, რა უჭირს ამ ნაწილში რესპუბლიკას: უთხარი, რას ფიქრობ, რას უპირებ, რას აღუთქვამ, როდესაც რამდენიმე ათას კაცს გზას ართმევ, როცა სოფელი გაღმა რჩება და მისი აფთიაქი, საავადმყოფო, საბჭოც კი — გამოღმა; განცხადება იმისა, რომ გზების გასაყვანად პროექტში გათვალისწინებულია ამდენი და ამდენი მილიონი, არაფერს ეუბნება ხალხს, მით უმეტეს, როდესაც ვერ ურჩევ, როგორ მიაღწიოს სავარგულებს, რომელიც მას არჩენს.

უმჯობესია საუბარი გულახდილი იყოს. ბოლოს და ბოლოს ყველა შეცდომა ხალხის კისერზე გადავა და მისთვის არავითარი მნიშვნელობა არ ექნება, მომავალში ვინმე დაისჯება თუ არა.

უკვე ფაქტია, რომ რაღაც გიგანტომანია დაგვჩემდა; გვინდა გვქონდეს ყველაზე მაღლივი კაშხალი, ყველაზე დიდი გვირაბი და სხვ. გვავიწყდება, რომ ჩვენი რესპუბლიკა პატარაა და ეს საქმე ახირება კარგს არაფერს მოგვიტანს.

რატომ ვთქვით უარი მცირე სადგურების აშენებაზე, ვის ვეჯიბრებით, რისთვის? კილოვატსაათი რომ იაფი იყოს? ჩვენში

ხომ ჰიდროსადგურების აგების სულ სხვა პირობებია. ამას ამტკიცებს ის დრო, რომელიც დასჭირდა და დღესაც სჭირდება მთელი რიგი ელსადგურების აგებას.

მახსენდება, თუ რამდენი იბრძოლა ენერგოსისტემის ჩხოროწყუს რაიონის ხელმძღვანელობამ, რომ შეენარჩუნებინა თავისი მცირეძალიანი ჰესი, რომელსაც კაპიტალური შეკეთება სჭირდებოდა და შეინარჩუნა კიდეც. იტყვიან, კილოვატსაათი იქ უფრო ძვირი ჯდებაო. არ შეიძლება ენერგეტიკის განვითარებას მხოლოდ კილოვატსაათის ღირებულებით უყურებდე და აფასებდე.

ჩვენი აზრით, მაღლივი კაშხალის აგება ჩვენში შექმნილ პირობებში დაუშვებელია.

საქართველოს ენერგეტიკოსებს არ შეიძლება დავიწყებული ჰქონდეთ, თუ რა სიძნელეებს ქმნიდა რესპუბლიკაში ბაზისური ელექტროენერგიის სიმცირე. სამოც-სამოცდაათიან წლებში გარდაბანში მძლავრი თბოელსადგურის ამუშავებამ ენერგოსისტემას „ამოსუნთქვის“ საშუალება მისცა, რესპუბლიკაში შესაძლებელი გახადა რაციონალური სქემით მუშაობა, რაც ჰიდრო და თბოელსადგურების შერწყმულ მუშაობაში გამოიხატა.

ელექტროენერგიაზე გაზრდილმა მოთხოვნილებამ ისევ დააყენა საკითხი, გავზარდოთ ბაზისური სადგურების სიმძლავრე, რაც, ჩვენი აზრით, უპირველეს ამოცანად უნდა ჩაითვალოს ენერგეტიკის განვითარების უახლოეს პერსპექტივაში.

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკაში ელექტროენერგიის განაწილებისას კარგვის მაღალი პროცენტის (12,7) დაყვანა საშუალო საკავშირო მაჩვენებლამდე (8) უახლოეს პერსპექტივაში ტექნოლოგიურად შეუძლებელია (გადაცემული ენერგიის რაოდენობისა და სიშორის არსებითი განსხვავების გამო), ვფიქრობთ, ძირითადი ყურადღება მაინც უნდა გამახვილდეს ზემოაღნიშნული მაჩვენებლის არსებით შემცირებაზე. ელექტროგადამცემ ქსელში ელექტროენერგიის დანაკარგების შემცირება 10 პროცენტამდე სახალხო მეურნეობას მოუტანს ელექტროენერგიის შედარებით დიდ ეკონომიას, ვიდრე ნამოხვანჰესი — მისი ენერგეტიკული სიმძლავრეების სრული ამოქმედების შემდეგაც კი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კლიმატური და რელიეფური პირობები ზედგამოჭრილია მცირე სიმძლავრის ჰესების მშენებლობისათვის, აგრეთვე, სამეურნეო სამსახურში ისეთი აღდგენადი ენერგიის გამოყენებისათვის, როგორსაც მზის, ქარის თუ თერმული წყლების ენერგია წარმოადგენს.

საჭიროდ ვთვლით აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთმა ნამდვილად არასწორად გაიგო ტერმინი „მოსამზადებელი სამუშაო“. თუ პროექტის ძირითადი საკითხები გადაუწყვეტელია, რა მომზადებაზე შეიძლება ლაპარაკი. ბევრი ეს საკითხი ჯერ კიდევ პროექტის დამთავრებამდე და მით უმეტეს დამტკიცებამდე უნდა გადაწყვეტილიყო, მაგრამ დღესაც გადაუჭრელია; ჩვენ კი სამუშაოს ვიწყებთ. ამიტომაც არის, რომ საქართველოში მთელი რიგი ობიექტების მშენებლობა ჭიანურდება, გაუთავებლად იცვლება ხარჯთაღრიცხვა, ვადები, პროექტირებასა და მშენებლობაზე მომუშავე ხალხიც; ვიღაცამ უწესოდ დააპროექტა და უწესოდ ააშენა, მაგრამ ველარავის ველარაფერს მოჰკითხავ, ვერც გაძვირების მიზეზს გაარკვევ და ვერც მშენებლობის ვადის დარღვევისას.

ადგილებზეც ხომ უნდა იფიქრონ ადამიანებმა. საჭიროა ამა თუ იმ რაიონის ხელმძღვანელობამ მეტი ყურადღება გამოიჩინოს თავისი სოფლებისადმი, თავისი რაიონის თუ ზონის მოსახლეობისადმი, ზოგიერთ შემთხვევაში კი საჭიროა წინ აღუდგეს მოსახლეობისათვის საზიანო გადაწყვეტილებას, სადაც არ უნდა იყოს იგი შეთანხმებული.

დეპუტატები, პარტიული ამხანაგები, საბჭოები ყველაზე უფრო კარგად იცნობენ ადგილობრივ პირობებს, რაც საშუალებას აძლევთ ობიექტურად მიუდგნენ საკითხის განხილვას. ყველაფერში და ყველაფერზე დათანხმება, მით უმეტეს — არასწორ გადაწყვეტილებებზე, ნამდვილად დაუშვებელია.

დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდა გამოჩენილ მეტყევეს ნიკოლოზ ტურჩინსკის. იგი ჩვენებური იყო, — საქართველოში დაიბადა და აღიზარდა, თბილისის კლასიკური გიმნაზია დაამთავრა, ქართველური ზნე-ჩვეულებები შეისისხლხორცა და ქართული ბუნება შეიყვარა.

ჩვენებური...

ნიკოლოზ ტურჩინსკი კიევის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა საქართველოში და მუშაობა დაიწყო აბასთუმნის სატყეო მეურნეობაში — მეტყევედ. შემდეგ აფხაზეთში გადავიდა და იქ მუშაობდა ღრმა მოხუცებულობამდე. ნ. ტურჩინსკი პირველი მეტყევე იყო, რომელმაც დაიწყო ძვირფასი ჯიშების ინტროდუქცია, აფხაზეთის რაიონებში მოაწყო ტყის სანერგეები. მას უწოდებდნენ ინტროდუქციის და ეგზოტების დანერგვის პიონერს. მისი უშუალო მონაწილეობით მდინარე ბზიფის მე-9 კილომეტრზე გაშენდა მარადმწვანე სექვოიის და ჰიმალაის კედრის შესანიშნავი ჭალა. ეს ნარგაობები დღეს ზრდადასრულებული ტყის მასივებად იქცა, რაც იმის დამადასტურებელია, რომ ტურჩინსკის წამოწყება სწორი და მიზანდასახული იყო.

იგი აქტიურად მონაწილეობდა რიწის, ბიჭვინთისა და გუმისთის სახელმწიფო ნაკრძალების ორგანიზაციაში. მისი ინიციატივით დაიწყეს აფხაზეთის საავტომობილო გზისპირების გამწვანება, სადაც ძირითადად ირგვებოდა კაკალი და ჭადარი.

ნიკოლოზ ტურჩინსკის პირველობა მიეკუთვნება, აგრეთვე, აფხაზეთის სამონადირეო მეურნეობის გეგმიური საწყისების ორგანიზაციაში. მან მიიღო მონაწილეობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევით ექსპედიციაში, რომლის მიზანი იყო გალისა და კოდორის რაიონების ფაუნის შესწავლა და აღრიცხვა.

თავისი ხანგრძლივი მუშაობის პერიოდში ნ. ტურჩინსკიმ ბევრი ახალგაზრდა მეტყევე აღზარდა, სწორი მიმართულება მისცა მათ მუშაობას, დაუზარებლად უზიარებდა თავის გამოცდილებას. იგი მეტყევეებს ასწავლიდა, თითოეულ ნარგავში დაენახათ მეგობარი, რომელსაც უნარი შესწევს ზრუნვისთვის სიკეთით გადაუხადოს ადამიანს.

თავისი მუშაობის სამოცი წლის მანძილზე ნ. ტურჩინსკი ერთგულად ემსახურა საყვარელ საქმეს; ამავე დროს აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ნ. ტურჩინსკი დაჯილდოებული იყო მრავალი ორდენით და მედლით.

ნ. ტურჩინსკის ოჯახიდან მცენარემცოდნეთა დინასტია ჩამოყალიბდა, ამ კეთილშობილურ საქმეს განაგრძობენ მისი ქალიშვილი ტატიანა — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი და შვილიშვილები — ნატალია და ირინა.

სიკეთე არასოდეს იკარგება.

კეთილი კვალი დაამჩნია ქართულ მიწას აქ დაბადებულმა მოძმემ...

რედაქცია.